ტესტი ისტორიაში

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.

ტესტის შესრულებისათვის გეძლევათ 5 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

ინსტრუქცია დავალებებისათვის № 1-24. თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენ მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა. შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

1. რამ განაპირობა ისრაელის ერთიანი სამეფოს ორად გაყოფა ძვ. წ. X საუკუნის დასასრულს?

ა) ეგვიპტის მარბიელმა თავდასხმებმა;

ბ) მეფე დავითის მიერ შედგენილმა ანდერძმა;

გ) ბაბილონის სამეფოსთან ხანგრძლივმა ომმა;

დ) სოლომონ მეფის შემდეგ დაწყებულმა შინააშლილობამ.

2. რომელი ისტორიული პროცესის შედეგია ასახული ილუსტრაციაზე განსხვავებული ფერით?

ა) ფინიკიელთა კოლონიზაციის;

ბ) აქემენიანთა ირანის ექსპანსიის;

გ) ბერძნული ახალშენების დაარსების;

დ) პუნიკურ ომებში რომაელთა გამარჯვების.

3. რას უკავშირდება ათენის ფილოსოფიური სკოლის სახელწოდება - აკადემია?

ა) ქალაქს;

ბ) მითოლოგიურ გმირს;

გ) სწავლების მეთოდს;

დ) სასწავლებლის დამაარსებელს.

4. რომელი მოსაზრებაა მართებული რომის სახელმწიფოში მონარქიული მმართველობის შეცვლის შესახებ?

ა) პატრიციებმა, რომელთაგანაც ირჩეოდნენ მეფეები, ნებით დათმეს პოლიტიკური ძალაუფლება პლებეების სასარგებლოდ;

ბ) რომაელებმა ვერ აიტანეს ერთპიროვნული მმართველობა და მთელი ხელისუფლება სენატს გადასცეს;

გ) სახალხო ტრიბუნებმა მოიწვიეს სენატი, რომელმაც შემდეგ რესპუბლიკური მმართველობა დააფუძნა;

დ) შეუძლებელი გახდა ერთი პირის მიერ ექსპანსიის შედეგად შექმნილი ვრცელი სახელმწიფოს მართვა.

5. რომელი მსჯელობაა მართებული „სალიკური სამართლის“ შესახებ?

ა) სამართლის ეს წიგნი დაიწერა ფრანკთა მეფე ხლოდვიგის მმართველობისას;

ბ) ეს კანონები რომის პაპის ბრძანებით გავრცელდა ფრანკთა შორის მათი გაქრისტიანების შემდეგ;

გ) კანონთა ეს კრებული ითარგმნა ფრანკთა სამეფოს მაჟორდომის, კარლოს მარტელის ბრძანებით;

დ) სამართლის ეს კოდექსი იმპერატორმა კარლოს დიდმა დაამკვიდრა ფრანკთა შორის.

6. რომელი იმპერატორის სახელს უკავშირდება ილუსტრაციაზე ასახული ტაძრის მშენებლობა?

ა) კონსტანტინე დიდის;

ბ) თეოდოსიუს პირველის;

გ) იუსტინიანე დიდის;

დ) ჰერაკლე კეისრის.

7. ისლამური არქიტექტურის რომელი ძეგლია აღბეჭდილი ილუსტრაციაზე?

ა) ქააბა მექაში;

ბ) ალის მავზოლეუმი;

გ) ბაღდადის მედრესე;

დ) ომარის მეჩეთი.

8. რამ განაპირობა აშოტ კურაპალატის მოღვაწეობის გაგრძელება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში VIII საუკუნის ბოლოსა და IX საუკუნის დასაწყისში?

ა) ხალიფას მიერ ტაო-კლარჯეთის დამორჩილებამ და ამ მხარეში მმართველად აშოტის დანიშვნამ;

ბ) ბიზანტიის მიერ ტაო-კლარჯეთში წარმოებულმა დემოგრაფიულმა ექსპანსიამ, რასაც აშოტმა აღმშენებლობითი საქმიანობა დაუპირისპირა;

გ) არაბების მხრიდან აშოტის ქართლიდან განდევნამ, რის გამოც ის იძულებული გახდა, ტაო-კლარჯეთში დამკვიდრებულიყო;

დ) აფხაზთა მეფის მიერ წამოწყებულმა ლაშქრობებმა ტაო-კლარჯეთის დასაკავებლად, რასაც აშოტი შეეწინააღმდეგა.

9. რა იყო რაინდად კურთხევისათვის აუცილებელი წინაპირობა შუა საუკუნეების ევროპაში?

ა) ციხე-სიმაგრის ფლობა;

ბ) კარდინალის ნებართვა;

გ) სასულიერო ორდენის წევრობა;

დ) კეთილშობილური წარმოშობა.

10. რომელ ისტორიულ მოვლენას უკავშირდება კანონსას ციხე-სიმაგრე?

ა) ასწლიან ომს;

ბ) ჯვაროსნულ ლაშქრობებს;

გ) რეფორმაციულ მოძრაობას;

დ) ინვესტიტურისათვის ბრძოლას.

11. მემატიანის გადმოცემით, „ერთსა დღესა დაწუეს ქუთათისი, და არტანუჯი, და უდაბნონი კლარჯეთისანი ... მოჭამეს ქუეყანა და მოსწყვიდეს, თუ სადღა ვინ დარჩომილ იყო ტყეთა, კლდეთა, ქუაბთა და ხურელთა ქუეყნისათა ... რამეთუ ქრონიკონი იყო სამასი, ხოლო თუ ვინმე მთიულეთს ანუ სიმაგრეთა სადამე ვინ დაშთა კაცი, ზამთრისა სიფიცხითა, უსახლობითა და შიმშილითა ეგრეცა მოისრა.“ რომელ დამპყრობლებზე საუბრობს ავტორი?

ა) არაბებზე;

ბ) მონღოლებზე;

გ) სელჩუკებზე;

დ) სპარსელებზე.

12. სად გადაინაცვლა იერუსალიმის სამეფოს დედაქალაქმა 1187 წელს ქრისტიანთა მიერ იერუსალიმის დაკარგვის შემდეგ?

ა) აკრაში;

ბ) ედესაში;

გ) ანტიოქიაში;

დ) ტრიპოლიში.

13. 1534 წელს მიღებული „სუპრემაციის აქტით“ ვინ გამოცხადდა ინგლისში ეკლესიის მეთაურად?

ა) უელსის პრინცი;

ბ) ინგლისის მეფე;

გ) ვესტმინსტერის კარდინალი;

დ) კენტერბერის არქიეპისკოპოსი.

14. 1683 წელს იან სობესკის მეთაურობით ევროპელ ქრისტიანთა არმიამ დიდი მარცხი მიაყენა ოსმალთა ჯარს. რა იყო ამ ბრძოლის შედეგი?

ა) კოალიციურ არმიას გზა გაეხსნა კონსტანტინოპოლისაკენ;

ბ) შეიქმნა ახალი სახელმწიფო, საღვთო რომის იმპერია;

გ) აღდგა სერბეთის დამოუკიდებელი სამეფო;

დ) ოსმალებს მოუწიათ ვენისთვის ალყის მოხსნა.

15. რა იყო კონსტანტინე მამად-ყული-ხანის მიერ, ლეკთა დაქირავებული ჯარით, თბილისის აღების ერთ-ერთი შედეგი?

ა) ქართლში ყიზილბაშობის დამყარება;

ბ) ვახტანგ VI-ს რუსეთში გახიზვნა;

გ) ქართლ-კახეთის გაერთიანება;

დ) თბილისის ციხიდან ოსმალთა განდევნა.

16. რომელი ქართველი ისტორიკოსი აღიზარდა როსტომ მეფის კარზე და ერთ დროს ისპაჰანის ტარუღას თანამდებობაც კი ეკავა?

ა) ფარსადან გორგიჯანიძე;

ბ) ვახუშტი ბატონიშვილი;

გ) პაპუნა ორბელიანი;

დ) სეხნია ჩხეიძე.

17. სხვა მიზეზებთან ერთად რამ შეუწყო ხელი ნაპოლეონის ხელისუფლებაში ასი დღით დაბრუნებას?

ა) ბრიტანეთის ფლოტის მიერ საფრანგეთის სანაპიროების ბლოკადის შეწყვეტამ;

ბ) რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ის ანტიევროპულმა პოზიციამ;

გ) ლუი XVIII-ის მიერ რესტავრაციის შემდეგ გატარებულმა პოლიტიკამ;

დ) ვენის კონგრესის მიერ შემუშავებული საბოლოო დეკლარაციის პირობებმა.

18. რომელი მსჯელობაა მართებული კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის მოღვაწეობასთან დაკავშირებით?

ა) უარყო მანამდე არსებული ძალისმიერი პოლიტიკა და შედარებით ლიბერალური ღონისძიებები გაატარა, რომელთა საბოლოო მიზანიც კავკასიის ავტონომიის შექმნა იყო;

ბ) მთელი აქცენტი ჩრდილოეთ კავკასიის დამორჩილებაზე გადაიტანა, აქტიურად ჩააბა ამ ბრძოლაში ქართველები და საბოლოოდ შეძლო კიდეც იმამ შამილის შეპყრობა;

გ) შეიმუშავა კომპრომისული პოლიტიკა ქართველ თავადაზნაურობასთან ურთიერთობაში, რის შემდეგაც მათ მიეცათ სამხედრო სამსახურის დაწყების უფლება;

დ) გარკვეულწილად შეცვალა წინამორბედების პოლიტიკა, სცადა სხვადასხვა ღონისძიებებით ქართული არისტოკრატიის გულის მოგება, რაც საბოლოო ჯამში შეძლო კიდეც.

19. 1871 წელს ვიქტორ ემანუელ II საზეიმოდ შევიდა რომში. რა ეწოდება პროცესს, რომელიც დასრულდა ამ მოვლენით?

ა) რეპატრიაცია;

ბ) რეპარაცია;

გ) რეკონკისტა;

დ) რისორჯიმენტო.

20. რა მოვლენა მიიჩნევა საფრანგეთის მესამე რესპუბლიკაში არსებული პოლიტიკური კრიზისის გამოვლინებად?

ა) „ემსის დეპეშა“;

ბ) „შავი ხუთშაბათი“;

გ) „სისხლიანი კვირა“;

დ) „დრეიფუსის საქმე“.

21. რომელი პოლიტიკური პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ლიდერი იყო არჩილ ჯორჯაძე?

ა) სოციალისტ-ფედერალისტების;

ბ) სოციალ-დემოკრატების;

გ) სოციალისტ-რევოლუციონერების;

დ) ეროვნულ-დემოკრატების.

22. რომელი ლიტერატურული ნაწარმოები ასახავს პირველი მსოფლიო ომის პერიოდს?

ა) მიხეილ ჯავახიშვილის „ქალის ტვირთი“;

ბ) ერიხ რემარკის „დასავლეთის ფრონტი უცვლელია“;

გ) ერნესტ ჰემინგუეის „ვის უხმობს ზარი“;

დ) კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცება“.

23. რა განსაზღვრავდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ზოგიერთი მხარისთვის ადგილობრივი ავტონომიური მმართველობის მინიჭებას?

ა) საყოველთაო რეფერენდუმის შედეგი;

ბ) საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია;

გ) დამფუძნებელი კრების დადგენილება;

დ) მთავრობის საგანგებო ბრძანება.

24. რა მოვლენა შეაფასა უინსტონ ჩერჩილმა შემდეგი სიტყვებით, „მთავრობას ჰქონდა არჩევანი სირცხვილსა და ომს შორის. მათ აირჩიეს სირცხვილი და მიიღებენ ომსაც“?

ა) პოლონეთის ოკუპაცია;

ბ) მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი;

გ) ავსტრიის ანშლუსი;

დ) მიუნხენის შეთანხმება.

ინსტრუქცია დავალებებისათვის № 25-28.

ქრონოლოგიურად დაალაგეთ ისტორიული მოვლენები ან პიროვნებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის ან პიროვნების შესაბამისი ციფრი. პირველ უჯრაში იწერება ის ციფრი, რომლითაც ყველაზე ადრე მომხდარი მოვლენაა აღნიშნული და ა. შ. შესაბამისად, ბოლო, მესამე უჯრაში ის ციფრი ჩაიწერება, რომლითაც ყველაზე გვიან მომხდარი მოვლენა აღინიშნა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

25. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ხალხთა დიდი გადასახლების ეპოქაში განვითარებული მოვლენები.

1. ბრძოლა კატალაუნის ველზე
2. ალარიხის ლაშქრობა რომზე
3. ფრანკთა გაქრისტიანება

26. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ქრისტიანობის ისტორიასთან დაკავშირებული მოვლენები.

1. დიდი სქიზმა
2. ხატმებრძოლეობის დაწყება
3. კლერმონის საეკლესიო კრება

27. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ჯვაროსნული ლაშქრობისას დროს მიმდინარე მოვლენები.

1. დამიეტას ალყა
2. ფრიდრიხ ბარბაროსას დაღუპვა
3. ჰოსპიტალიერთა ორდენის დაფუძნება

28. ქრონოლოგიურად დაალაგეთ აშშ-ს ისტორიასთან დაკავშირებული მოვლენები.

1. დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღება
2. დედაქალაქად ვაშინგტონის გამოცხადება
3. პირველი კონტინენტური კონგრესის მუშაობის დასრულება

ინსტრუქცია დავალებისათვის # 29.

მოსწავლეს აქვს რუკა. მას საკუთარი ცოდნისა და რუკაზე არსებული ინფორმაციის გამოყენებით უნდა გაეცა პასუხები დასმული კითხვებისათვის.

მოსწავლის მიერ გაცემული პასუხებიდან ორი (2) არასწორია.

თქვენ უნდა იპოვოთ ეს შეცდომები, გადმოწეროთ პასუხების ფურცლის სათანადო ადგილზე და იქვე მიუწეროთ სწორი პასუხები. დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

დავალება 29. რუკა და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

ყარაჩაი
ყაბარდოელები
ოვსეთი
ჭისტეთი
ბაგარი
ბიჭვინთა
ანაკოფია
ცხუმი
დრანდა
ნაციონალური
ბაგრატიონ
ბედია
ეკლესიარ
ფიფურია
ზუგდიდი
ცაიში
ანაკლია
კუმხელი
ფოთი
ჯუმათი
ოზურგეთი
ქაჯთაციხე
ბათუმი
ბორჩალო
ბოლნისი
ბოლნისი
ბორჩალო
ბორჩალო
ბორჩალო

მოსწავლისათვის დასმული კითხვები:	მოსწავლის მიერ გაცემული პასუხები:
29.1. რომელი საუკუნის ვითარებაა ასახული რუკაზე?	**29.1.** XVII საუკუნის.
29.2. რას ვუწოდებთ იმ ქართულ პოლიტიკურ ერთეულს, რომლის ტერიტორიაც, რუკის მიხედვით, მიიტაცა ოსმალეთმა?	**29.2.** ახალციხის საფაშოს.
29.3. დაასახელეთ პიროვნება, რომელიც რუკაზე ასახული პერიოდის დროს გაერთიანებული ქართლ-კახეთის მეფე იყო.	**29.3.** თეიმურაზ I.
29.4. დაასახელეთ ქართველი პოლიტიკური მოღვაწე (მეფის გარდა), რომლის სახელიც უკავშირდება რუკაზე აღნიშნულ ბრძოლებს.	**29.4.** გიორგი სააკაძე.
29.5. რუკის მიხედვით, დაასახელეთ ორი ქართული სამეფო, რომლებსაც ესაზღვრებოდა ოსმალეთის მიერ მიტაცებული ქართული პოლიტიკური ერთეული.	**29.5.** ქართლი, იმერეთი.
29.6. რუკის მიხედვით დაასახელეთ ქართული სამთავროები, სადაც არსებობდა კათოლიკური მისიონები.	**29.6.** იმერეთი, სამეგრელო.

ინსტრუქცია დავალებისათვის № 30.

ყურადღებით გააანალიზეთ ილუსტრაციაზე მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ დასმულ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 7.

დავალება 30. ილუსტრაციები და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

1

3

2



კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

ილუსტრაციებზე ასახულია XX საუკუნის მეორე ნახევარში ევროპის ერთ-ერთ ქალაქში განვითარებული ისტორიული პროცესის ეპიზოდები.

კითხვები:

(2) **30.1**. რომელ ქალაქში განვითარებული ისტორიული მოვლენებია ასახული ილუსტრაციებზე და რამ განაპირობა აღნიშნული მოვლენების განვითარება სწორედ ამ ქალაქში?

(2) **30.2.** რომელ ილუსტრაციაზეა ასახული მოცემული ისტორიული პროცესის ყველაზე ადრეული ეტაპი? პასუხი დაასაბუთეთ ილუსტრაციაზე არსებული ინფორმაციის მიხედვით.

(2) **30.3.** რომელ ილუსტრაციაზეა ასახული მოცემული ისტორიული პროცესის ყველაზე გვიანდელი ეტაპი და თქვენი აზრით, რა დასკვნის გამოტანა შეიძლება ილუსტრაციაზე არსებული ინფორმაციიდან?

(1) **30.4.** დაასახელეთ ერთი კონკრეტული საგაკვეთილო თემა, რომლის დროსაც გამოიყენებდით წარმოდგენილ ილუსტრაციებს.

ინსტრუქცია დავალებისათვის # 31. ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 19.

დავალება 31. ისტორიული დოკუმენტი და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

31. ნაწყვეტი გენერალ ილია ოდიშელიძის წერილიდან „როგორ იშვა ქართული არმია“

მსოფლიო ომის დროს ცენტრალური სახელმწიფოების წინააღმდეგ საქართველომ რუსეთის არმიაში გაგზავნა 180.000-200.000 კაცი. მათ შორის უნდა ჩავთვალოთ მოხალისეები, მაგრამ არ უნდა ჩავთვალოთ ქართველი ოფიცრები და გენერლები, რომლებიც იყვნენ რუსეთის არმიაში. ვანგარიშობ მხოლოდ ქრისტიან ქართველებს, რადგან ქართველი მუსლიმები განთავისუფლებული იყვნენ სამხედრო ვალდებულებისგან.

როდესაც რუსეთის რევოლუციისას, ნათლად გამოიკვეთა ბოლშევიკური მიმდინარეობა, ეს აისახა რუსულ არმიაზე, მასში ასევე ნათლად გამოიკვეთა ომის სწრაფი დასრულების სურვილი და არმიამ დაიწყო დაშლა. 1917 წლის ოქტომბერში რუსეთში ბოლშევიზმმა გაიმარჯვა. შეუკავებელი ბოლშევიკური პროპაგანდის გავლენით დივიზიები და კორპუსები უარს აცხადებდნენ, დამორჩილებოდნენ საკუთარ მეთაურებს, ძარცვავდნენ საკუთარ ქონებას და მის უდიდეს ნაწილს მოწინააღმდეგეს უტოვებდნენ. მათ უწესრიგოდ დაიწყეს ფრონტის მიტოვება. როგორც ყველასთვის კარგად არის ცნობილი, ამას ტრაგიკული შედეგები მოჰყვა რუსეთისთვის. ეს შედეგები განსაკუთრებით ტრაგიკული იყო ამიერკავკასიაშიც, ძირითადად ქართველებისა და სომხებისთვის. განჭვრიტეს რა ეს დიდი საშიშროება, ქართველებმაცა და სომხებმაც, ბოლშევიკების საბოლოო ტრიუმფამდე რამდენიმე თვით ადრე ტფილისში დააყენეს საკითხი ქართული და სომხური ეროვნული ნაწილების ფორმირების შესახებ.

სომხებმა ამაზე ადრე შეძლეს რუსეთის არმიის შემადგენლობაში შეექმნათ რამდენიმე ეროვნული ბატალიონი. ქართველებსაც ჰქონდათ საკავალერიო პოლკი. ჯერ კიდევ 1917 წლის სექტემბერ-ოქტომბერში კერენსკის მთავრობა იძულებით დათანხმდა ეროვნული ნაწილების ფორმირებას; მაგრამ კავკასიის ადგილობრივი რევოლუციური სამხედრო ხელისუფლება, ფრონტის

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11

კომისრის, დონსკოის სახით, თავიდან ამ იდეას ღია წინააღმდეგობას უწევდა. კერძო წრეებში ის აცხადებდა, რომ კავკასიას უმალ ჩაახრჩობს სისხლში, ვიდრე დაუშვებდა ეროვნული ნაწილების ფორმირებას. ბოლშევიკების წარმატებებისა და რუსეთის არმიის დაშლის პარალელურად ის სულ უფრო და უფრო არბილებდა პოზიციას და ქართველ ნაციონალისტებს სიტყვიერ დაპირებებსაც აძლევდა. ოქტომბრის პირველ ნახევარში ის ჯერ კიდევ ეწინააღმდეგებოდა კავკასიაში ეროვნული ნაწილების ჩამოყალიბებას და პარტიულ წრეებში ამბობდა, რომ ქართველებისა და სხვა ეროვნებებისგან იღებს თხოვნებსა და წერილებს, მაგრამ მათ მაუდის ქვეშ დებს და ვერავინ ვერასდროს კავკასიაში ვერ იხილავს ეროვნულ ნაწილებს.

მოვლენები დონსკოის ნებისა და შეგნების საწინააღმდეგოდ მიდიოდა და ამან აუცილებელი გახადა ეროვნული ნაწილების სწრაფი ფორმირება. ნებართვა იმდენად გვიან გაიცა, რომ ეროვნულ შენაერთებს არ შეეძლოთ შეეცვალათ კავკასიის ფრონტის ის რუსული ნაწილები, რომლებიც ფრონტიდან თვითნებურად მიდიოდნენ.

მხოლოდ 1917 წლის ოქტომბრის ბოლოს დართეს რეალურად ნება, დაეწყოთ ეროვნული ნაწილების ფორმირება. ხოლო 1918 წლის იანვრის ბოლოს მივიღე მოწინააღმდეგის მთავარსარდლის დეპეშა, რომ ის არღვევს ზავს და იწყებს შეტევას.

ქართველებსაც და სომხებსაც, მოწინააღმდეგის შეტევის დაწყების წინ, ჰყავდათ მხოლოდ მცირე სამხედრო ნაწილები. კორპუსები შედგებოდა 200-300 კაციანი პოლკებისგან, რომლებისთვისაც შეიძლება გვეწოდებინა უფრო არასამწყობრო რაზმები, მაგრამ არა პოლკები. აი, ერთადერთი მიზეზი, თუ რატომ ვერ გაუძლო თურქების შემოტევას ვერც ერზერუმმა, ვერც ყარსმა, ვერც ალექსანდროპოლმა, ვერც ბათუმმა და რატომ გაიქცნენ მათი გარნიზონები, დაუტოვეს რა სიმაგრეები მოწინააღმდეგეებს.

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

სომხებს საკუთარი ჯარის მოწყობის საქმეში, ყოველთვის ჰქონდათ გარკვეული უპირატესობა ქართველებთან შედარებით. ჯერ კიდევ რევოლუციამდე, იყენებდნენ რა კავკასიის მეფისნაცვლის კეთილგანწყობას მათდამი, მათ ჩამოაყალიბეს რამდენიმე ცალკეული ბატალიონი, რომლებსაც ჰქონდათ საკმარისი დრო, რათა შეკოწიწებულიყვნენ, გაძლიერებულიყვნენ, გაწვრთვნილიყვნენ და მიეღოთ საბრძოლო გამოცდილებაც კი. ეს ნაწილები გახდა ხერხემალი და განაპირობა სომხური კორპუსის სწრაფი ჩამოყალიბება ქართულ კორპუსთან შედარებით.

ქართულ კორპუსს არ ჰქონდა არც ის უპირატესობა დროში, რაც ჰქონდა სომხურ კორპუსს. მისი ფორმირება მაშინ დაიწყო, როდესაც სომხური კორპუსი უკვე ჩამოყალიბებული იყო. ამის გამო ბათუმს იცავდა არა საკუთრივ ქართული კორპუსი, რომელიც ამ დროისთვის მხოლოდ ფურცელზე არსებობდა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, არამედ სასწრაფოდ

იმპროვიზირებულად შეკრებილი ბევრი, ცალკეული პატარა რაზმი. ბათუმი დაეცა და ამას ჰქონდა მხოლოდ ერთი დადებითი შედეგი - ყველასთვის ცხადი გახდა, რომ არმიას უნდა დაეთმოს მეტი ყურადღება და რესურსი. არმიის შექმნის, გაძლიერების და გაწრთვნის სამუშაო უფრო ინტენსიური გახდა. საბედნიეროდ აღმოჩნდა, რომ თითქმის ყველა ქართველმა ოფიცერმა და გენერალმა, რომლებიც მსახურობდნენ რუსულ არმიაში და არ ჩადგნენ რუსული ბოლშევიზმის სამსახურში, დატოვეს რუსეთი, ჩამოვიდნენ სამშობლოში და გულწრფელად დადგნენ იმ სახელმწიფო წესრიგის მხარეს, რომელიც სრულიად შეგნებულად აირჩია თავისთვის ქართველმა ხალხმა. ამან საშუალება მისცა საქართველოს მთავრობას, შიშის გარეშე გამოეყენებინა ყველა ოფიცერი და გენერალი, თითოეული მისი სპეციალობით და შესაძლებლობით და გაეძლიერებინა მუშაობა არმიასთან დაკავშირებით.

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

კითხვები:

(1) **31.1.** დაასახელეთ სახელმწიფოები, რომლებიც იგულისხმებიან ტექსტში ნახსენებ „ცენტრალურ სახელმწიფოებში“.

(1) **31.2.** თქვენი აზრით, რატომ იყვნენ გათავისუფლებული ქართველი მუსლიმები სამხედრო ვალდებულებისგან?

(1) **31.3.** მოიყვანეთ ციტატა დოკუმენტიდან, საიდანაც აშკარად ჩანს, რომ გენერალი ოდიშელიძე მოთხრობილი ამბების აქტიური მონაწილე იყო.

(1) **31.4.** დოკუმენტის მიხედვით დაასახელეთ ერთი მთავარი გარემოება, რამაც „საშუალება მისცა საქართველოს მთავრობას, შიშის გარეშე გამოეყენებინა ყველა ოფიცერი და გენერალი“?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე

(2) **31.5.** სრულად ჩამოთვალეთ, რას აკეთებდნენ ბოლშევიკური გავლენის ქვეშ მყოფი შენაერთები?

(2) **31.6.** წყაროს მიხედვით, ვისთვის იყო განსაკუთრებით მძიმე რუსეთ-ოსმალეთის ფრონტზე შექმნილი ვითარება და რატომ?

(2) **31.7.** დოკუმენტის მიხედვით, რატომ ჰქონდა დონსკოის დიდი გავლენა და თქვენი აზრით, რატომ იყო ის ეროვნული შენაერთების შექმნის მოწინააღმდეგე?

(2) **31.8.** წყაროს მიხედვით აღწერეთ, როგორ იცვლებოდა დონსკოის პოზიცია ეროვნული შენაერთების შექმნასთან დაკავშირებით და რა კონკრეტულმა მოვლენებმა გამოიწვია ეს?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე

(2) **31.9.** დოკუმენტის მიხედვით, რა იყო ბათუმის დაცემის მიზეზი და რა დადებითი შედეგი მოიტანა ბათუმის დაკარგვამ?

(2) **31.10.** რაში გამოიხატებოდა სომხების უპირატესობა ეროვნული შენაერთების შექმნის საქმეში და რა იყო, გენერალ ოდიშელიძის აზრით, ამის მიზეზი?

(3) **31.11.** დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომლებშიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულმა ძალებმა წარმატებას მიაღწიეს.

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე

ინსტრუქცია დავალებისათვის #32. ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი დავალება და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. ყველა კითხვას გაეცით სრული და ამომწურავი პასუხი. დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

დავალება 32. სადისკუსიო თემის განსაზღვრა

(1) **32.1.** რომელი კონკრეტული თემის განხილვისას გამოიყენებდით №31 დავალებაში მოცემულ ისტორიულ წყაროს, ნაწყვეტს გენერალ ილია ოდიშელიძის წერილიდან - „როგორ იშვა ქართული არმია“?

(1) **32.2.** გაკვეთილზე განსახილველი თემის უმთავრესი საკითხის გათვალისწინებით, ჩამოაყალიბეთ სადისკუსიო თემის სათაური.

(2) **32.3.** ჩამოაყალიბეთ ორი ალტერნატიული პოზიცია, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას დისკუსიისას.